

# ნოაზისი:

საპირვედოვებელი ღაესი	3
სასასალწლო	4-5
ქაშთველი მხედართმთავრები ჯიქ-სპასალი	6-9
იღოცა ყიცხალთათვის...	9-10
გიორგობა	10-11
მაჩალიულობის ფაქტორი	11-13
პაკაშა ქაშთველი ფეხბურთელი FC Bayern-ის ბავშვთა საფეხბურთო ყდებში	13-14
შეყვაჩებული აქაუი	15-19
გოლების ჩიხერის მონაცემება	20-21
Einmal Tbilisi, Suchumi und zurück	21-26
აქ თუ იქ?	26-29
იუმონი	30

## სავისებელი განახლები

შენა სამ ჩემი  
ჯოლოვა.  
ზარჯულის.  
გულშე ახლოს სამ  
და ლმერითზე ზემოთ.  
ჩემი ცანკულო.  
ჩემი მცანკველო.  
დაყრალაჭო  
წაძრობლოვ ჩემო.  
შენთან ვამ, მაგრამ  
მაინც ლავადებ.  
ჩოვოც ლაუდებ.  
ნაფერლი მძიები.  
და ამ ჩაცარია  
ძინის ნაელუჯზე  
შემაძლენუნებლად  
ვამ ჰელნიერი...

ოთამ ჭილაძე

# ტერორიზმი

## წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარიან იესო ქრისტეს შობის დღე. გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველ-წლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარასათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მსხნელის სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშინისმცემელი უძლურისა და უღონოსი, დავრდომილთა აღმადგენელი, სწეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან აღამაღლა ღირსება და პატივი აღამიანისა იქმდე, საღამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიძწვდარიყო აღამიანის შემინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა. „ვით მამა ზეცის, იყავ შენცა სრულიო“ უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არს აღსვლად და და მას სისრულემდე. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვსს სიტყვაში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში... იღვწე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიახწიო. ესოდენი განდიდება და აღმატება აღამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა აღამიანს არ გაეგონა და საკირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველ-წლივ იესო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითოვეულის გული მოწყალებისათვის და მაღლისათვის სძგერს.

ხოლო არ გვესმის, რა მიზეზით ამასთანავე, თუ არ მეტის, სიხარულით ვეჯებებით ხოლმე პირველ დღეს ახალი წლისას. აი ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით რა მოგილოცოთ. წასვლა ძველისა, თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრაა, ან მეორეში, ვერ გამოგციცვინა. წასვლა ძველისა თავის-თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლელი უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვეული ჭირი იყო და შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და

სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითოვეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას სამოცდახუთი დღე და სამას სამოცდა ხუთი დღით ახლო მიუვედით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო... ხუმრობაა, მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტი საათიანი დღე და დამე... წავიდა და დაიღუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დღო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია. დროთა ბრუნვაშ რომ ეს ამოდენა ღალა წართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესინა, რა მოგვამეგვინა, რა დაგვამუნათა? რომ გვეთქმოდეს - ბევრი არაფერიო, ცოტა მაინც საგულვებელი გეექნებოდა. საქმე ის არის, რომ სულ არაფერი მოუცია, და ეს რა ნუგეშია. მიდიან დღენი, მიდიან წელი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელცარიელნი, როგორც ვყოფილვართ, და ვიძახით: სად წავიდეთ, ვის შეეჩივლოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განვიღებს დახშულ კარებს ბედისას?

ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგეშა, რომ პარასკევიაო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურების კარის დახურვას და შიგნიდან ჩაკტას მაინც ვდირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობებინა ძველს წელიწადს, კიდევ ღმერთს მადლობას ვეტყოდით და არ დავინახებდით ამისთვის იმ ძვირფას საფასურის გაცემას, რომელსაც დღენი სიცოცხლისანი ჰქვიან, და რომელიც მით უფრო მნელი გასმეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიღის და აღარ ბრუნდება უკან. სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსული დღენი-კი აღარა. ვაი უფრო განვლილს სამას სამოცდა ხუთს დღეს და ღამეს. ჩვენს სიცოცხლეს ეს ამოდენა ხანი მოაკლდა და ერთის ბეჭვის რდენაც-კი არა შეგვამტნია რა. უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდეს კი, რომ ესე უგემურად, ურგებად დღენი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი აღგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვას და სამძიმარს, ვიდრე მხიარულებასა და მილოცვ-მოლოცვას.

სინანულიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩავგაგდო და ნამუსი და სინდისი თავისის უტყუარის სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად. განკითხვა თავისის თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახვებდა ჩვენის უბედურებისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასელისას და ახალის მოსვლისას ქარსავე გაატანდა, მაგრამ სად არის. სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გული გაჭებს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“, მაშინ, დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს.

რაღა საკვირველია, რომ ჩვენ, ძველის წელიწადისაგან გულგატეხილნი და ასე უნუგეშოდ დარჩენილნი, ახალ წელიწადს რაღაც იმედით ვებღაუჭებით, რაღაც სიხარულით შევნატრით. მეტი რა გზაა, წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო. ჩვენც ასე მოგვდის. ხოლო საკითხი ეს არის: ეს კარზე მოსული ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი ნესვია და რა საბუთია, რომ შეეხარით. ქრისტეს აქეთ სრული ათას რეას ოთხმოცდათვრამეტი წელიწადი გასთენებია ადამიანს საერთოდ და ჩვენ, ქართველებს ცალკე და ათას რეას ოთხმოცდათვრამეტჯერ სიხარულით და მიღლცით მიღვებებიგრო და ამდენჯერვე მოვტყუებულვართ, იმედი და სიხარული გაგვცრუებია და ათას რეას ოთხმოცდამეცხრამეტე წელიწადისაგან რაღას უნდა მოველოდეთ, ჩვენ, ქართველები მაინც.

მართალია, დღევანდელის დღის გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა. რაკი ასეა, მაშ დედა ვუნახოთ, მამა ვუნახოთ და შვილი ისე გამოგნახოთ, ქართულის ანდაზისამებრ, და მაშინ დავინახვოთ, - რა წითელი კოჭი უნდა ბრძანდებოდეს ჩვენთვის ეს ახლად შობილი ახალი წელიწადი, რომლის შე და მთვარე, ნათელი და ბნელი პირველ შეხედვით თვალით არა სჩანს, აბა ერთი გვიბრძანეთ, - რა მოუხანით, რა მოუთესეთ, რომ რა მოგამკევინოს.

„ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობსო“,

ნათქვამია, და უხეირო, უსაქმურ წელიწადისაგან ნაშობი რა ხეირს მოგვიტანს. განა ამისთანა წელიწადი ერთი და ორია!.. ეს რამდენი დრო და ჟამია, რაც ჩვენ ვიძახით: „წახლნენ ყოველნი ჩვენთვისა, რაიც გვქონდა ქონებანიო“. ვინ არის ამის მიზეზი? არავინ, ჩვენს მეტი, და ამის მაგიერ, რომ ყოველმა ახალმა წელიწადმა ჩვენს თვზე მიგვახედოს, დაგვიჟინია „მემოვდგით ფქი და გწყალობდეთ ღმერთიო“ და გვგონია, რომ რაკი ეს ვთქვით, ციდან მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდება. ის-კი აღარ გვახსოვს, რომ ღმერთი მარტო გამრჯელის მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს. ღღენი დღესა სცვლიან, წელიწადი წელიწადს და ჩვენი თვი კი ისევ ისე წყალს მიაქვს, ანდაზისა არ იყოს, - ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო. გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს. მაშ რა მოუვა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა.

„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი ფქის გადადგმაღა სიკვდილამდე. და რაკი ამაზე მიღება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ესეა, აბა ქლა თარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნიარა. ამაზე უკეთესი სანატრელი ვედარა გვიპოვია-რა. ნატვრის უნარიც კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რა გზა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გაუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას გაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა პსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხენა, ის ძლიერია. მაშ „მხენე იყავ და განძლიერდი“ - აი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.

ტფილისი, 31 დეკემბერი, 1898 წ.

ახ

# კასტელი

ქართველობის მთავრობის მინისტრის მიერ განცხადებით

## ქართველობის მთავრობის მინისტრის მიერ განცხადებით

საქართველოში ლაშქრის „წუევისათვის“ განსაკუთრებული მოხელეები — „კაცნი“ იყვნენ, რომელთაც „ლაშქრის მწუეველი“ ერქვათ. ჩვეულებრივ ლაშქრის მწუეველებად „შიკრიკი და მალემსპბროლელნი“ იგზავნებოდნენ ხოლმე. „წუევის წიგნში“ აღნიშნული იყო ვადა ანუ „პაემანი“ როდესაც ჯარი საომრად გამოწყობილი უნდა გამოცხადებულიყო. წიგნში „მზაობა“ იყო აღნიშნული, რომ ბრძანა „მეფემან რათა მზა იყუნენ სპანი მისნი“, თანაც დასახელებული იყო პაემანი მზაობისა და შეკრისა.

ამის შემდგომ ლაშქარი გამოწყობოდა და იკრიბებოდა. ერთად შეკრებილ ჯარს მეფე დაათვალიერებინებდა და გაუსინჯავდა იარაღსა და მოკაზმულობას, რომელსაც „სპათა განახვა“ ეწოდებოდა. მაგალითად, როდესაც სპარსეთში დასალაშქრებლად გამზადებული ქართული მხედრობა დანიშნულ დროს თბილისში შეიკრიბა, თამარ მეფემ „განახვა“ სპანი და იხილა აბჯარი კეთილითა და პატიოსნითა და მოუწონა აბჯარი და ცხენებითოლობა მათი, სიღიდე და სიმხნე სპათა მისთა“. ეს „განახვა“ ერთგვარი აღლუმი იყო, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“ აღწერილი: „აღლუმი ვნახე მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა, სიჩაუქე და სიკეთე კეკლუცად დარაზმულობა, ტაიჭითა მათთა სიმალე, აბჯართა ხუარაზმულობა“. ძლევამოსილი ლაშქრობიდან დაბრუნებული ქართველთა ჯარი, განსაკუთრებით თუ მეფე ბრძოლის ველზე არ იყო, მახარობელს ჯერ მეფეს ან დედოფალს აახლებდნენ ხოლმე, შემდგვ როდესაც ლაშქარი და დიდებულებიც დედაქალაქს მოაღწევდნენ - მათ მაშინ იმართებოდა დარბაზობა და ამირსპასალარი, როგორც ჯარის მთავარი წარმომადგენელი, მხედარმთავრებს შეუძღვებოდა, ომის ამბავს მოახსენებდა და ნადავლს და ძღვენს მიართმევდა მეფეს. ერთ-ერთი ასეთი იყო სახელგანთქმული გამრეკელ-თორელი, რომელიც სარგისის შემდგომ ამირსპასალარად იყო დადგენილი. თორელი გამრეკელი კახას ქ, მე-12

საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, დიდგვაროვანი ფეოდალი, ისტორიულ წყაროებში იხსენიება 1177-1190 წლებთან დაკავშირებით. მან მემკვიდრეობით მიიღო თორის მამული, თემის ხეობა და ჯავახეთი, რომელსაც განაგებდა როგორც ერისთავთერისთვი. 1177 წელს თორელი, ისევე როგორც სამხრეთ საქართველოს სხვა ფეოდალები, თავის მამასთან ერთად მიემსრო ორბელთა მეთაურობით დემნა უფლისწულის გასამეფებლად მოწყობილ ამბოხებას, მაგრამ შემდგომ მიატოვა აჯანყებულები და გიორგი III-ის მხარეზე გადავიდა. რის შემდგომაც სამეფო კარზე საკმაოდ დაწინაურდა.

1185 წელს თამარ მეფემ თორელს გადასცა თმოგვიც და 1186 წელს ამირსპასალარის სიკვდილის შემდგვ მეფემ მას ამირსპასალარობა უბოძა. თორელი, როგორც მონაპირე მხარის ჯავახეთის ერისთავთერისთავი, მტრებისაგან იცავდა საქართველოს სამხრეთ საზღვრებს. 1186-87 წლებში მან დაამარცხა არანიდან და გელაქუნიდან შემოსილი თურქები და განდევნა ისინი სამხრეთ საქართველოდან. თორელის სარდლობით მეფის ჯარმა ჯავახეთში დაამარცხა გიორგი რუსის გასამეფებლად ამბოხებული ფეოდალები. მისი სიკვდილის შემდგვ მეფე თამარმა მის სახლს დაუტოვა როგორც თორის მამული, ისე ახალქალაქის საერისთავოები. ხოლო ამირსპასალარობა გადასცა ზაქარია მხარგრძელს.

ამირსპასალარს, თავის სამხედრო თანამდებობის ნიშნად, „ხრმალი“ ჰქონდა და მგზავრობაში, თუ დარბაზობის დროს იგი ხმალშემორტყმული დადიოდა. ამასთანავე, მას როგორც სამხედრო ძლიერების გამომხატველს, მეფის კურთხევის წესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. „სამეფო ხრმალი“, სანამ მეფე ეკურთხეოდა სწორედ მის ხელი იყო და როდესაც ეკლესიაში მიდიოდნენ, ეს „სამეფო ხრმალი თორთავე ხელთა ზედა“ მას ეტვირთა, ხოლო საკლესიო კურთხევის დამთავრების შემდგვ, საკურთხევლის კარითგან ჩამოვიდოდა. მაშინ მეფის კურთხევის

წესში ნათქვამი იყო „ამირსპასალარმა ხრმალი შეარტყასო“, ალბათ როგორც საქართველოს ჯარის წინამდლოლმა. „კარის გარიგებაში“ ამირსპასალარის შესახებ ვკითხულობთ, რომ „უამისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალებისო“ ანუ ქვეყნის გაცემა სახარაჯოდ ან მამულის გაცემა საყმოდ ამირსპასალარის გარეშე არ მოხდებოდა. არაერთხელ ყოფილა, რომ ამირსპასალარს კიდევ სხვა ვაზირობაც ჰქონდა მინიჭებული, მაგალითად გიორგი მესამის დროს ივანე ორბელი სუმბატის ძე მანდარტუხუცესი და ამირსპასალარი იყო. იგი იყო დავით მე-5-ის ძის, დემნა უფლისწულის სიმამრი და სწორედ მისი გამეფების მიზნით მოაწყო აჯანყება გიორგი III-ის წინააღმდეგ. აჯანყების დამარცხების შემდეგ ორბელი შეიპყრეს, თვალები დათხარეს და მოკლეს.

როგორც თვით სახელწოდება ამტკიცებს, ამირსპასალარი სპასალართა უფროსი უნდა ყოფილიყო, თუმცა ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. თამარ მეფის ისტორიკოსი ამბობს: ბრძოლის ველიდან დაბრუნდნენ და „მოვიდეს... სპასალარნი და სპასეტნიო“. საფორებელია, რომ თითოეულ კუთხეს საქართველოში თავის სპასალარი ჰყოლოდა, მაგრამ გასაოცარია, რომ ქართულ წყაროებში მარტო „სამცხის სპასალარია“ და „კარის გარიგებაშიც“ მხოლოდ სამცხის სპასალარი გვხვდება.

მე-11 საუკუნის მეფის კურთხევის წესის განგებაში ნათქვამია, რომ როდესაც მეფედ გამზადებული საყდარში გაემგზავრება „ამირსპასალარი ხმალშემორტყმული, მარჯვენით კერძოდ ჰყვებოდეს... და ამილახორი და მეაბჯრეთუხუცეს ხმალშემორტყმულივე ამირსპასალარის კერძო ვიდოდნენო“. ამ წესიდანაც ჩანს, რომ ამილახორსა და მეაბჯრეთუხუცესს, ამირსპასალართან რაღაც დამოკიდებულება უნდა ჰქონდათ. „კარის გარიგებაში“ მართლაც სწერია: „ამილახორი, ვაზირი არის ამირსპასალარისო“, ხოლო „მეაბჯრეთუხუცესი, მეაბჯრენი, მესარტყელნი და საჯინიბოს შემაგალი ყოველივე ამილახორის ხელისანი არიანო“. მაშასადამე, ამილახორი ამირსპასალარის თანაშემწე ხელისუფალი იყო, მეაბჯრეთუხუცესი კი ამილახორის ხელქვეითი მოხელე ყოფილა.

ამირახორის შემდგომი საფეხური ამირსპასალარობა იყო. ამირახორს იგივე პატივი და უპირატესობა ჰქონდა, რაც მეჭურჭლეოთუხუცესს და მსახურთუხუცესს და მხოლოდ მას ჰქონდა უფლება დასწრებოდა ვაზირთა ბჭობას. იგი ვაზირობის წევრი იყო თუმცა მისი უფლება შედარებით შეზღუდული ყოფილა და მას მხოლოდ „ვაზირებასა

ზედან ამირახორსა მათ უკანით.. ზესკამი უთქს და ვაზირობასა ესმის და იგი არას იტყვის, რასაც არა ჰყითხევნ და რაი ჰყითხონ, მაშინდა პასუხს იტყვის „ განმარტებულია „კარის გარიგებაში“, მაშასადამე მხოლოდ სათაბირო უფლება ჰქონდა და არა გადამწყვეტი. ამირსპასალარივით ამილახორს, როგორც სამხედრო უწყების წარმომადგენელს, „ხრმალი“ ეკუთვნოდა. იგი არამარტო მეფის კურთხევის დროს იყო ხმალშემორტყმული, არამედ „ხრმალი“ ამირახორს არტყია დარბაზობასა ზედა-ც, ლაშქრობისა და სალაშქრო საქმეებზე „ურვის“ დროსაც.

ამილახვარი არის გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის სამხედრო უწყების მოხელე ამირსპასალარის თანაშემწე, საგაზიროს წევრი სათაბიროს ხმით. მისი ხელქვეითი მოხელენი იყენენ მეაბჯრეთუხუცესი და მეჯინიბეთუხუცესი. დარბაზობის დროს ამილახორი პატივით მეჭურჭლეოთუხუცესთან და მსახურთუხუცესთან იყო გათანაბრებული. საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ამილახორი ზემო ქართლის სადროოშოს სარდალი და როგორც წესი, გორის მოურავიც იყო. ამ თანამდებობისგან წარმოდგა თავადთა გვარი ამილახვარი. ამილახვარი გვით ანდუფაფარის ძე (1689-1754) ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროოშოს სარდალი და გორის მოურავი, პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანს 1722 წლიდან. ხშირად იცვლიდა საგარეო ორიენტაციას და ბრძოლის მეთოდებს, ებრძოდა ოსმალობას, თუმცა დათმობაზეც მიდიოდა. 1726 წელს ოსმალებს ხელი ააღებინა, სიონის მეჩეთად გადაკეთებაზე.

1727 წელს, მეფე იესეს გარდაცვალების შემდეგ, ოსმალებმა ქართლი რამდენიმე საგამგეო ერთეულად დაჰყენს. ამილახვარი ზემო ქართლის სანჯაყის გამგებლად დაინიშნა. იგი ოსმალებთან ერთად იბრძოდა მოთარეშე ლეკ ფეოდალთა წინააღმდეგ. ამასთან ერთად, იძულებული იყო, მონაწილეობა მიეღო ოსმალების ექსპედიციებში კახელთა წინააღმდეგ, თუმცა კი ფარულად აჯანყებულ კახელებს ქმარებოდა.

თამაზ-ყული-ხანის ამიერკავკასიაში მოსვლის შემდეგ 1734 წელს, ამილახვარმა ყიზილბაშებთან ერთად დაიწყო ბრძოლა თურქების წინააღმდეგ. 1735 წელს მოულოდნელი დარტყმით აიღო გორი და მონაწილეობდა თბილისიდან ოსმალების განდევნაში, თუმცა ქართველთა ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ, ხელს უწყობდა ირანელთა წარმატებებს. ნალირ-შაჰს არ მოსწონდა, რომ ქართველებში ფქს იკიდებდა ქრისტიანული საქართველოს აღდგენის იდეა, ამიტომ მან დააპატიმრა ამილახვარი და სხვა

ქართველი პატრიოტები: თეიმურაზ მეორე, აბელ ანდრონიკაშვილი, მამუკა მუხრანბატონი, ქაიხოსრო ავალიშვილი, ვახუშტი აბაშიძე. მალე ისინი ტყვეობიდან გამოიქცნენ. 1736 წელს ამილახვარი შანშე ერისთავსა და ვახუშტი აბაშიძესთან ერთად, სათავეში ჩაუდგა ირანის წინააღმდეგ აჯანყებას ქართლში. მალე ამილახვარი ირანელებმა შეიიყრეს და ვერაგობით მოკლეს. ბრძოლას შანშე ქსნის ერისთავი განაგრძობდა.

1737 წელს ნადირ-შაპა ამილახვარი და სხვა დაპატიმრებული ქართველები, ავღანეთის ლაშქრობაში წაიყვანა. აქ მათ თავი გამოიჩინეს და შაპა გადაწყვიტა, ქართველი ტყველები სამშობლოში დაებრუნებინა და შანშე ერისთავის წინააღმდეგ გამოყენებინა. ამ დროისათვის შანშე ერისთავის ბრძოლის მეთოდები, (დაღესტნელთა გამოყენება) მიუღებელი გახდა ქართველობისათვის, ამიტომ ირანელებმა აღვილად დაიმორჩილეს ქსნის საერისთავო და ამილახვარს გადასცეს. 1741 წელს შაპა ამილახვარი ქართლის ვექილად დანიშნა, დაუმტკიცა ამილახვობა და ქსნის ერისთავობა. ამის შემდეგ ამილახვარი მონაწილეობდა ნადირ-შაპის დაღესტნის ლაშქრობაში, მაგრამ მისი ირანული პოლიტიკა დიდხანს არ გაგრძელებულა. უკმაყოფილება გამოიწვია ერთი მხრივ, ქართლში ბაგრატიონთა კახური შტოს დაწინაურებამ, მეორე მხრივ ნადირ-შაპის მძიმე საგადასახადო პოლიტიკამ და 1742 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ქართლის აჯანყებასირანელთა წინააღმდეგ. 1744 წელს აჩაბეთის ბრძოლაში ამილახვარი დამარცხდა და 1745 წელს იძულებული გახდა დანებებოდა თეიმურაზ მეორეს. დამარცხებული ამილახვარი ისპაპანში გაგზავნეს. აქ ის ფორმალურად გამაპამადიანდა, მიიღო შაპ-ყული-ხანის სახელი და ირანის გარედიის უფროსი გახდა. 1747 წელს ნადირ-შაპა გადაწყიტა დაესაჯა ურჩი თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე და ამილახვარს დაავალა 30 000 კაცით საქართველოში შეჭრილიყო. ამ განხრახვას ხელი შეუშალა შაპის სიკვდილმა. 1749 წელს ამილახვარმა შემოიკრიბა ირანში მყოფი ქართველები, შეაირაღა და ხმლით გაიკაფა გზა საქართველოსაკენ. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ამილახვარმა არაერთი დანგრეული ციხე და ეკლესია აღადგინა ქართლში, იმერეთსა და მესხეთში. დიდი ფინანსური, მორალური და სამხედრო დახმარება გაუწია თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეორეს.

დარბაზობის დროს, ამილახვობის თან ახლდნენ მის ქვეშთი ხელისუფალნი, „მეაბჯრუნი“ რომელიც „ზურგით დგანან“. მეაბჯრუთაგან ერთი „კარგ“ მეაბჯრუდ ითვლებოდა და მას ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა, როდესაც დარბაზობის დროს ამირახვობის „დაჯდომის უამი მოვიდეს, ხრმალი კარგს მეაბჯრუსა და მისცეს და იგი მხარს

ჩამოიკიდებსო“. „მეაბჯრუთუხუცესი“, როგორც თვით სახელიც გვიჩვენებს, „მეაბჯრეთ“ უფროსიც უნდა ყოფილიყო. ვითარცა ამილახვობის ქვეშეს მოხელეს, მას რასაკვირველია ამილახვარზე გაცილებით ნაკლები უფლება და პატივისცემა ჰქონდა. მაგალითად, მეაბჯრუთუხუცესს უფლება არ ჰქონდა, რომ გაზირობას დასწრებოდა და მხოლოდ, როდესაც ვაზირები მას „სამოციქულოში დაიბარებდნენ, მაშინ შეეძლოთ იგი საგაზიროს შეეყვანათ. მეაბჯრუთუხუცესსაც, ვითარცა სამხედრო უწყების მოხელეს, „ხრმალი“ ეკუთვნოდა და მეფის კურთხევის დროს იგი ხრმალ-შემორტყმული მიდიოდა ხოლმე ამირსპასალარისა და ამილახვობის გვერდით. უეჭველია, სალაშქრო საქმეების დროსაც იგი „ხრმალ შემორტყმული“ იქნებოდა.

მეაბჯრუთუხუცესს მეფის კურთხევაში თავისი განსაკუთრებული მოვალეობა ჰქონდა და წესში ნათქვამი იყო: როდესაც მეფე საყდარში საკურთხებლად წაბრძანდეს და როდესაც უკან დაბრუნდეს „მეაბჯრუთუხუცესსა სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში და უკანა უდგეს მეფესაო“. მეაბჯრეთაგან ერთი „სეფე მეაბჯრეთ“ იწოდებოდა, ერთს მათგანს კიდევ „კარგი მეაბჯრეს“ სახელი ჰქონდა. კველა მეაბჯრეს დარბაზობის დროს „ჯაჭვი აცვიათ“. ნათქვამია „კარის გარიგებაში“, ეს ჩასაცმელი ჯაჭვი „გორგი მეფეს, თამარის მამას, თვით კერცხლისა შეუქნია სალმასურის სახელსა ზედა და მას ჩაიცმიდენ“. კარის გარიგებიდან კარგად არ ჩანს, გიორგი მეფეს მარტო ეს ცვლილება შემოუდია, რომ ჯაჭვი დარბაზობისას კერცხლისა უნდა ყოფილიყო და სალმასურად გაკეთებული, თუ თვით მეაბჯრეთა ჯაჭვით შემოსვის წესი მოლიანად მას შემოულია.

მეაბჯრეთა გარდა აბჯრის მტკირთველიც არსებობდა, საგანგებო მოხელე, რომელსაც აბჯრი ეჭირა და ომში თავის პატრონს ქმარებოდა. აბჯრის მტკირთველის მოვალეობა იმდენად მარტივი არ ყოფილა, რომ კველას უსწავლელად შესძლებოდა, ამისათვის საგანგებო გაწვრთნა და დახელოვნება იყო საჭირო ისე, რომ ამ თანამდებობის კაცი ჩვეულებრივ „აღზრდილი იყო აბჯრის მტკირთველად“. თუმცა, მეფის აბჯრის მტკირთველი შემონახულ წყაროებში მოხელებული არ არის. მეფის კურთხევის დროს, მეფის მტკირთველის მოვალეობას მეაბჯრუთუხუცესი ასრულებდა და სამეფო ფარი, ლახტი და ქარქაში მას ეჭირა.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, „საჯინიბოს შემავალნი ყოველივე ამილახვობის ხელისანი იყვნენ“. მეჯინიბეთუხუცესის გამგებლობის ქვეშ უნდა ყოფილიყო „საჯინიბო“, ხოლო ხელქვეით მოხელეებად „მეჯინიბენი“ უნდა ჰყოლოდა, რომელიც უკვე 10 საუკუნის სიგელში გვხვდებიან.

ერთ მეჯინიბეთაგანს თურმე “ზარდახნის მეჯინიბე” წროდებოდა.

ამირსპასალარისავე სახელს ეკუთვნოდნენ აგრეთვე “აჩუხი და ამირჩქარი და მერმეთ-უხუცესი და როდესაც ამირსპასალარი თავის ხელქვეითებითურთ სალაშქრო საქმეს იურვოდა

აჩუხი, ამირჩქარი და მერმეთ-უხუცესი წინად დგანან შორს და სიარულადაც წინად იარებიანო “ნათქვამია “კარის გარიგებაში”.

მომზადებულია ტელეკომპანია „საქართველოს“  
პროექტ „მთავარსარდლის“  
ლიტერატურული სცენარის მიხედვით  
ავტორი ლევან უმიგაშვილი

## ტელე რეის

„ილოცე ცოცხალთათვის, რათა მარადიული ცხოვრება მოიპოვონ.  
ილოცე მიცვალებულთათვის, რათა თავი დააღწიონ მარადიულ  
სიკვდილს.  
ილოცე მიცვალებულთათვის, რათა იმათაც, ნეფარებაში მყოფება,  
ილოცონ შენთვის.“

მართლმადიდებლურ ეკლესიაში კვირის ყოველი დღე განსაკუთრებულ ხსოვნას ეძღვნება. მაგალითად შაბათი დღე (იგი ებრაული სიტყვაა და ნიშნავს სიმშვიდეს, მოსვენებას) ეძღვნება მიცვალებულთა ხსოვნას. ამ დღეს ეკლესია გარდაცვალებულთ ხსოვნას უძღვნის და სთხოვს ძმერთს მიანიჭოს მათ საუკუნო მშვიდობა და განსვენება მრავალი მწუხარებით აღსავს მიწიერი ცხოვრების შემდეგ. ყოველდღიური ლოცვებისა და შაბათის გარდა წელიწადში არის კიდევ რამდენიმე დღე, რომლიც ეძღვნება მიცვალებულთათვის ხსოვნას.

თუ რა ძვირფასია ეკლესის ლოცვა მიცვალებულთათვის, მოწმობს შემდეგი ამბავი :

ერთ-ერთ სამრევლოს ემსახურებოდა უამრავი სიკეთით შემკული მღვდელი, მაგრამ მას ერთი ძალზე ცუდი ჩვევა პქონდა, ლოთობის სენით იყო შეკყრობილი. ამ მოძღვარსწესად პქონიალიტურგიაზე მიცვალებულების განსაკუთრებული გულმოდგინებით მოხსნიება. თუ ვინმე ერთხელ მაინც მიაწვდიდა მოსახსნიებელს, მიცვალებულთა სახელებს ჩუმად ჩაიწერდა და ყოველ წირვაზე იხსენიებდა. ამავე დროს მრევლი ძალზე აღშფოთებული იყო მოძღვრის მძიმე სნეულებით და ხშირად ჩიოდა კიდეც. ამ ამბავმა მიაღწია მიტროპოლიტ ფილარეტის ყურამდეც და მან გადაწყვიტა მოძღვრისთვის მღვდელმსახურება

აეკრძალა. როდესაც მიტროპოლიტს რეზოლუციაზე ხელი უნდა მოეწერა, თითებში საშინელი სიმძიმე იგრძნო, წერა ვეღარ შეძლო და საქმე მეორე დღისათვის გადადო. ღამით კი საოცარი ხილვა ეჩვენა: სარკმლის წინ უამრავ სხვადასხვა ასაკისა და წოდების ადამიანს მოეყარა თავი და მიტროპოლიტს ვედრებოდნენ, რათა მოძღვარი შეეწყალებინა და არ შეეწყვიტა მისთვის მღდლობა მათი სულების გადასარჩენად. ხილულით შეძრწუნებულმა მიტროპოლიტმა სასწრაფოდ დაიბარა მღვდელი და მოახსენა რაც მის შესახებ გავგო. მოძღვარი თავმდაბლად, ღრმა სინანულით აღიარებდა საკუთარ დანაშაულს და იმეორებდა, რომ ყველაფერი სიმართლეა და ცოდვილი ვარო. მიტროპოლიტის კითხვაზე კი თუ მასში რაიმე კეთილი საერთოდ იყო. მან უპასუხა: ერთადერთი, რაც ჩემში კეთილია, ისაა, რომ მიცვალებულებს ვიხსენიებ. იმათ გარდა ვისაც მე წესს უვეგბ, იმ მიცვალებულთა სახელებსაც ვიწერ, რომელთა შესახებაც გავიგებ და ყველა მათგანს ვიხსენიებ პროსკომიდიაში. მიტროპოლიტმა შეუნდო მას ცოდვა და დაარიგა: შენ მათვის ლოცულობ, ისინი კი შენთვის, იმათმა ლოცვებ გადაგარჩინა. გტოვებ შენს ადგილზე რათა გამოსწორდე. ილოცვა მიცვალებულთათვის უწინდებურად, მაგრამ გახსოვდეს, ვალდებული ხარ, რომ შენი სამწესოს ცოცხალ წევრებზეც იზრუნო და პირადი მაგალითით

დამოძღვრო ისინი. იმ დღიდან მოძღვარს ღვინო აღარ დაულევია, მაგრამ ამ მკვეთრი შემობრუნების შემდეგ მხოლოდ ერთი წელი იცხოვრა. ერთი წლის შემდეგ სამრევლომ ცხარე ცრუმლით დაიტირა ჭლექით განლეული მოძღვარი. ღმერთმა მას თავისი სიკეთის გამო სინაურლი მისცა და სიკვდილის წინ ცოდვა გამოასყიდვინა.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ სინამდვილეში ადამიანი არ კვდება. სიკვდილი ეს ერთი სიცოცხლიდან მეორეში გადასვლაა. ჩვენი მიწიერი ცხოვრება არის მომზადება მარადიულობისათვის, იგი თითუეული ჩვენთაგანისთვის უდიდესი გამოცდაა. ჩვენ ვიცით, რომ მიწაში ჩაგდებული ხორბლის მარცვალი ერთგვარად იხრწება და კი არ წყვეტს არსებობას, არამედ მისგან გაცილებით მეტი ამოიზრდება—


ახალი მცენარე. ღმერთი მას ანიჭებს ფორმას, სილამაზეს და უნარს იყოს სასარგებლო. ასევეა ადამიანიც, გარდაცვალების შემდეგ იგი იმარხება მიწაში, როგორც სხეული წყვეტს არსებობას, მაგრამ იმ ელემენტებისაგან, რომლებადაც ის იშლება, როგორც ხორბლის მარცვლის უჯრედიდან, ღვთის ძალით ახალი სხეული აღდგება, არა უმწეო და უძლური, არამედ უხრწენელებითა და დიდებით აღსავსე სულიერი სხეული, რომელსაც ჩვენ ჩვენი ლოცვებით ვეხმარებით შევიყვანოთ ცათა სასუფეველში. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მარადიულ ცხოვრებაში მუდამ ერთად ვიქნებით და გვმართებს მათთვის ლოცვა, თუკი გვინდა იმქვეყნად მათთან შეხვედრა.

ეკატერინე ცირიკაშვილი

## გიორგი გორგაძე

**ამონარიდი მთავარეპისკოპოსი  
სერგის (ჩრისტიშვილი) ქადაგიშვილი**

დღეს გიორგობაა. აბა რა უნდა გიამბოთ მე ახალი წმინდა გიორგიზე?! საქართველოში არ მეგულება ადამიანი მის შესახებ რომ ბევრი რამ არ იცოდეს; მაგრამ დღეს მისი ხსენების დღეა და მოდი მაინც გავიხსენოთ ცოტა რამ. წმინდა გიორგი კაბაღოკიდან იყო, იგი ახლო ნაფუსავი ჩვენი განმანათლებლისა – წმინდა ნინოსა. ამანაც გარკვეულწილად შეუწყო ხელი მისადმი ასეთ სიყვარულს ჩვენში. საქართველოში ბევრგანაა შემორჩენილი ამბები წმინდა გიორგის სასწაულების შესახებ, რომლებიც წმინდანს სწორედ მშრომელი ადამიანის მფარველად წარმოგვიდგენენ. მინდა გიამბოთ წმინდა გიორგის ერთ-ერთ სასწაულზე-მოგეხსენებათ ჩვენში ერთ დროს ძალიან გახშირდა ყმაწვილების მოტაცება და გაყიდვა. ასე მიჰყიდეს ერთი ბიჭიც ფაშას, რომელმაც იგი თავისთან დააყენა მოსამსახურედ. ყოველ საღამოს ბიჭს მასთან შემოჰქონდა თასით წყალი და ფქსს პპანდა. ბიჭი მორწმუნე ოჯახში იყო გაზრდილი და ისე არ დაწვებოდა რომ არ ელოცა. ერთხელაც წააწყდა წმინდა გიორგის ხატს და ძალიან გაიხარა. წმინდა გიორგის ხომ მთელი მისი ოჯახი თაყვანს სცემდა და ოჯახის მფარველადაც მიაჩნდათ. ბიჭსაც ამ



წმინდანისადმი ცოცხალი რწმენა პქონდა. იმავე ღვთის მთელი გულით შევეღდრა ხატს დაებრუნებინა იგი ოჯახში და მოხდა საოცრება საღამოს, როცა

წესისამებრ ფაშას ოთახისაკენ თასით ხელში გაეშურა, უეცრად საკუთარ სახლში, მამამისის ფეხებთან აღმოჩნდა. ასე აუსრულა გულისწადილი წმინდა გიორგიმ ბიჭე. ჩვენ ხშირად გვგონია, რომ მხოლოდ თვითონ შეგვიძლია რამის შეცვლა ჩვენს ცხოვრებაში. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ დავკარგეთ ღმერთი და ბუნებრივიაჩვენდავკარგეთ მისი სასოებაც. დავკარგეთ იმის შეგნებაც, რომ თავისუფლებაც და ყველაფერიც ადამიანს ღვთისაგან ეძლევა. დავივიწყეთ ისიც, ყოველივე სულის გამოსაწრობად რომ გვეძლევა და არა იმისთვის, რაც მოგვესურვება ის ვაკეთოთ. ამიტომ როცა რაიმე გვინდა სწორედ უფლისაგან უნდა გამოვითხოვოთ. ახლა ცოტას თუ სწამს ლოცვისა, ცოტას თუ შეგვიძლია ყოველი გასაჭირისას ღმერთს მიმართოს. მე არაერთხელ მითქვამს თუ რამზელა ძალებთან უხდება შეჭიდება მორწმუნე ადამიანებს, ზოგს კი ლოცვა მოცალეობის ჟამი ჰგონია. აუცილებელია რომ ერთმანეთს მხარში ამოუდგეთ და შევინარჩუნოთ მართლმადიდებლური აღმსარებლობა.

ჯერ კიდევ როდის მიხვდა შაპ-აბასი, რომელიც ამბობდა:

-რას გააწყობთ იმ ხალხთან, რომელთაც სჯული და ცხოვრება ერთმანეთზე გადაუბავს, შეუსისხლხორცებია და სული ხორცები მაღლა დაუყენებია. ხალხს, რომელსაც სული ასე აუმაღლებია, ჯერ ეს სული უნდა დაამდაბლებინო და მხოლოდ ამის შემდეგ შევცალო მის დამონებას.

ვთხოვოთ წმინდა გიორგის შემწეობა ღმერთთან, რომ მან სიბრძნე მოგვცეს, სიბრძნე, რომელიც დაგვანახებს ჭუშმარიტ გზას, დაგვანახებს რისთვის გვგზავნება ასეთი განსაცდელები. საერთოდ სხვისი გასაჭირის გაზიარება შეუძლია იმ ადამიანს, რომელსაც თვითონ აქვს გადატანილი ასეთი რამ. გასაჭირი გულმოწყალებას აჩვევს ადამიანს. ღმერთი შესაძლოა ამისათვის გვიგზავნის ასეთნაირ განსაცდელებს, სულს გვიწვრთნის ამ კუთხით. მოდით მაღლობა შევწიროთ წმინდა გიორგის შემწეობისათვის. ღმერთმა გიორგობის მრავალ დღესასწაულს დაგასწროთ.

## ახ

# მარადიულობის ფაქტორი

აგვისტოს ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში, ისეთ როგორ პროცესებში, როგორცაა ტევეთა გაცვლა, დაღუპული მეომრების გადმოსვენება, ბუფერულ ზონაში დარჩენილი მოსახლეობისთვის საკვების დარიგება, ოკუპანტებთან ურთიერთობა, აქტიურად იყვნენ ჩართულნი საძლვდელოების წარმომადგენლები.

ამ საქმიანობაში თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა სამთავისისა და გორის ეპისკოპოსი, მეუფე ანდრიაც, თუმცა მასთან ამ თუმაზე საუბრის უფლების მოპოვება საკმაოდ როგორი აღმოჩნდა.

მეუფე ანდრია სოხუმიდანაა. აფხაზეთის ომის დროს შევიდობისმყოფელის მისით იმყოფებოდა გაგრაშიც და გუდაუთაშიც. სამღვდლო შესამოსელი კი მხოლოდ ომის შემდგომ ჩაიცვა. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს მასთან, რომელშიც იგი არაერთ პრობლემატურ საკითხს ქვება.

„თავდაპირველად მახსოვს გრუზუნი და ცეცხლის ალები, რასაც ჩვენ გორის ციხიდან ვაღვენებდით თვალყურს. უკვე შემდეგ, 8 აგვისტოს, გადაწყვიტეთ, გავმგზავრებულიყვავით რომ მოგვენახულებინა ცხინვალთან ახლომდებარე

სოფლები. გვინდოდა გვენახა ცხინვალისა და ნიქოზის ეპისკოპოსი მეუფე ესაიაც სოფელ ზემო ნიქოზი (500 მეტრი ცხინვალიდან). ამ დროისთვის ჭურვი უკვე მოხვედრილი პქონდა და ჩანგრეული იყო მისი რეზიდენციის სახურავი, რომელიც X საუკუნის ძველ საეპისკოპოსო სახლშია განთავსებული. სოფელ არბოსთან მოვყევით საპატიო დაბომბების ქვეშ. ამ მოვლენებამდე ცოტა უფრო ადრე, დაცხრილეს ჩვენი ერთ-ერთი მამის ავტომანქანაც, რომელიც სოფელ შინდისიდან მოდიოდა. თვითონ იგი და მისი მგზავრები მართლაც რომ სასწაულებრივად



გადარჩნენ. მანქანა გამჭოლად იყო გახვრეტილი. მხოლოდ ერთი მოხუცი ქალი დაიჭრა ფეხზე ჭურვის ნამსხვერებით. ასეთი მახსოვს ომის დასწყისი, რასაც შემდგომში ყოველდღიური დაბომბვები მოჰყვა,” — ამბობს მეუფე ანდრია.

თვითმურინავების გადაფრენის ხმა, მასაც ისევე, როგორც ალბათ, ყველა გორელს ომს ახსენებს. „მახსოვს, რომ დაბომბვა, თითქოს მსგავსი ინტერვალებით ხდებოდა, ერთი და იგივე დროს, დილით, დაახლოებით რეგ საათიდან თერთმეტამდე, შემდეგ ნაშუადღვებისენ და საღამოს. ჩემთვის ეს იყო ანალოგი აფხაზეთთან, რადგან, სოხუმს როცა ბომბავდნენ, დაახლოებით ის დრო ცნობილი იყო და ვიცოდით, რომ ამ დროიდან, ამ დრომდე იქნება დაბომბვა. აქაც იგივე რომ განმეორდა, ამიტომ მივაქციე ამას ყურადღება. ტაძარში ყოველდღიური წირვები გვქონდა. როცა ზიარების დრო ახლოვდებოდა, იწყებოდა დამომბგაც და ეს იმდენად დიდი სიძლიერის იყო, მეშინოდა, ბარიძი არ გამგარდნოდა ხელიდან, რადგან ტაძარს აქანავებდა, საკმაოდ აქანავებდა, აზანზარებდა.” — იხსენებს მეუფე.

მეუფე ანდრიას გორი კრიტიკულ დღეებში არც ერთი წამით არ მიუტოვებია, აღმოჩნდა მარადიორების მსხვერპლიც, თუმცა იმდენი შეძლო, რომ ოკუპანტებმა სამღვდელობის წარმომადგენლებს უფლება მისცეს ბუფერულ ზონაში გადაადგილებულიყვნენ და დაღუპული დაჭრილი ჯარისკაცები გამოევანათ. როდესაც გორში ომის ამბებს ყვებიან, იხსენებს ისტორიასაც

იმის შესახებ, როგორ იტირა რუსმა გენერალმა ბორისოვმა მეუფე ანდრიასთან პირველი შეხვედრის დროს. „გენერალი ბორისოვი ტაძარში წირვის დასასრულს შემოვიდა უურნალისტების თანხლებით და მოიცავა, სანამ წირვა დასრულდებოდა. შემდეგ მე მივმართე მას და მანაც თქვა, რომ იგი რეაგირებას მოახდენდა ყველა დარღვევის ფაქტზე, აღვეთავდა მას და დაისჯებოდა ნებისმიერი კანონდამრღვვევი და მე იცით როგორი შთაბეჭდილება დამრჩა? რომ ისინი, არამარტო ბორისოვი, არამედ, ზოგადად, ყველანი, თავს იმართლებდნენ იმის გამო, რომ შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში. ამბობდნენ, რომ ჩვენ ეს იმიტომ გავაგთოთ, რომ დაგვემყარებინა მშვიდობა და რომ გორშიც იმიტომ ვართ, რომ დაგიცვათ მოთარეშე ჯგუფებისგან (სხვათა შორის, იყო რამდენიმე ფაქტიც, რეალურად, როდესაც მათ დააკავეს თავისავე ჯარისკაცები და დასაჯეს უწესო ქმედების გამო). ჩვენ ვუთხარით მას, რომ მოეცა უფლება სამღვდელოების წარმომადგენლებისთვის გადაადგილებულიყვნენ სოფლებში, რაზეც ის დაგვეთანხმა და ამან მოგვცა საშუალება, მიგვწოდებინა საკვები მოსახლეობისთვის, რომლებიც დარჩენილი იყვნენ სოფლებში. ოუკანტები დარწმუნდნენ, რომ სასულიერო პირები დაკავებული იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საქმიანობით, რაც უკავშირდებოდა საკებების მიწოდებას, დაჭრილებისა და დაღუპულების გამოყვანას. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ იყო რამოდენიმე ფაქტი, როცა შეიქმნა მწვავე სიტუაცია, ოსური მხარე ძალიან აგრესიულად იყო განწყობილი და მათი აგრესია ვრცელდებოდა ჩვენს მიმართაც. რომ არ ყოფილიყვნენ იქ რუსი ოფიცრები, ვერ მოხერხდებოდა დაჭრილებისა და მიცვალებულების გამოყვანა,” — ამბობს მეუფე ანდრია.

იგი ჩვენს საზოგადოებაში გარკვეულ პროგრესს მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების თვალსაზრისით ხედავს, თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვნად და ძალიან საჭიროდ მიიჩნევს ჩვენი უახლესი ისტორიის შეფასებას, მის ანალიზს, მასზე ღია საუბარს.

„აგვისტოს ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში მე დავინახე მოქალაქეობრივი თვითშეგნების გაცილებით მაღალი დონე, აფხაზეთთან შედარებით. ბევრ ჩვენთვის სასირცხვილო ფაქტს ჰქონდა აღგილი აფხაზეთში ომის დროს. იყო ძარცვა-გლეჯის, ყაჩაღობის ფაქტებიდან ამასაკეთებდა ქართული მხარე. განსხვავებული სურათი დავინახე შარშანდელი ომის დროს. მიუხედვად იმისა, რომ დაბომბვის შედეგად სრულიად ადვილი ხელმისაწვდომი შეიძლებოდა ყოფილიყო იგივე საკებები ობიექტები, მაღაზიები, ბანკები, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს რამე გაეძარცვოს. ვფიქრობ, ეს ჩვენს მოქალაქეობრივ

შეგნებაზე მეტყველებს. ასევე მინდა გიოთხრათ, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის, ისტორიისთვის ძალიან მნიშვნელოვნია შეფასება და ანალიზი იმისა, რაც მოხდა აფხაზეთში, სამაჩაბლოში, სამოქალქო ომის დროს. პირველი ფაქტი იყო, როდესაც შედგა კომისია, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენები შესწავლა. თვითონ ეს ამბავი ძალიან კარგია, ძალიან მნიშვნელოვნია. მხოლოდ ახლა უნდა გაკეთდეს კიდეც ამ ყველაფრის ანალიზი და მასაც მაშინ ექნება

აზრი, როდესაც ის იქნება სამართლიანი, დაუმალავი. არა იმიტომ, რომ ვიღაც დავსაჯოთ, არამედ იმისთვის, რომ შევაფასოთ ჩვენი ქმედება. მე მჯერა, რომ უსამართლობა ყოველთვის არის დროებითი და მას არა აქვს თვისება მარადიულობისა,” — ამბობს მეუფე ანდრია.

მოამზადა  
ნინო დალაქიშვილმა

## ტარკი ტემპი

### პატარა ქართველი ფეხბურთელი FC Bayern-ის გამართვა საფეხბურთო გუნდი

მიუნხენში სულ ახლახან გერმანიის ქართულ სათვისტომოში დაარსებულმა ქართული სპორტის ქომაგთა კლუბმა „ივერიელმა” უკვე რამდენიმე საინტერუსო და მნიშვნელოვანი პროექტის წამოწება და სისრულეში მოყვანა შეძლო. მათ შორის ყველაზე ახალი და შეიძლება ითქვას თავისი მნიშვნელობით ძალიან დიდი პროექტი საქართველოდან ახალგაზრდა ფეხბურთულების გერმანიაში ჩამოყვანას და მათ ახალგაზრდულ საფეხბურთო კლუბების გარჯიშებში მონაწილეობას ითვალისწინებს. „ნავსის გამტები” და დებიუტანტი 14 წლის ფეხბურთული დათო ჯიქია იყო, რომელსაც ერთი კვირის განმავლობაში FC Bayern-ის საბავშვო გუნდი მასპინძლობდა. ბავარიის ბავშვთა საფეხბურთო გუნდის მწვრთნელებმა დათო საინტერუსო მოთამაშედ დაახასიათეს და კარგი მომავალი უწინასწარმეტყველეს.

- დათო, რატომ გაჰყევი ფეხბურთს და არა რომელიმე სხვა სპორტის სახეობას?

- 6 წლის ვიყავი როცა მამაჩემმა ფეხბურთზე შემიყვანა. ძალიან მომეწონა და იმის შემდეგ თამაშისთვის თავი არ დამინებებია. ვთვლი, რომ მამაჩემის დიდი დამსახურებაა, ფეხბურთი რომ ასე ძალიან მიყვარს. სხვა სპორტზე არასდროს მიღიქრია.

- რომელ გუნდებში გაქვს ნათამაშები?

- „ვაკე 91“-ში ვთამაშობდი ხუთი წელი. ამის შემდეგ გადავედი „საბურთალოში“, მერე 34-ე სკოლის გუნდში და ბოლოს „ოლიმპში“ აღმოვჩნდი, სადაც ქლაც ვთამაშობ.

- სამომავლოდ რომელ გუნდს უმიზნებ?

- მანჩესტერში ვითამაშებდი დიდი სიამოვნებით.

- გვაგს საფვარული ფეხბურთული?

- ძნელია გამორჩევა, თუმცა ალბათ უფრო უერნანდო ტორესი.

- რომელი ფეხბურთულის მსგავსი ფეხბურთი გინდა ითამაშო?

- პელესნაირი (ჩვენი ინფორმაციით, მას გუნდში მეგობრები პელეს ეძახიან)

- თავიდანვე თავდასხმაში თამაშობდი თუ მოგვიანებით იფიქრუ რომ ეს უკეთესად გამოგდიოდა?

- ფეხბურთში შეიძლება ითქვას, რომ მთავარი გოლის გატანაა. აქედან გამომდინარე, მგონია რომ ყველაზე კარგი პოზიცია თავდამსხმელის პოზიციაა. არც მიფიქრია სხვაგან მეთამაშა. ისეც მგონია, რომ ეს ყველაზე უკეთ გამომდის.

- ბაიერნის მწვრთნელმა საინტერუსო მოთამაშედ დაგახასიათა, რა არის შენი აზრით შენს თამაშში

## საინტერვიუსო?

- მაგას მე ვერ ვიტყვი, ეგ მწვრთნელს უნდა ჰქითხოთ. თავის შექება არ მინდა, მაგრამ მე მგონი მწვრთნელმა რაც იფიქრა ისაა, რომ ყეველაფრით კარგად ვთამაშობ: მარჯვენით, მარცხნით, ფქნით და ხელით.
- შენთვის რას ნიშნავდა „ივერიელის“ ამ პროექტში მონაწილეობის მიღება და FC Bayern-ის ბავშვების გუნდში თამაში?
- ძალიან მიხარია, რომ პროექტის პირველი მონაწილე მე ვარ. სურვილი ყოველთვის მქონდა, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი რომ FC Bayern-ში მოვხედებოდი სათამაშოდ. გახარებული ვარ და მინდა კიდევ უფრო კარგად ვითამაშო.
- თვლი, რომ ამ ერთ კვირაში შენ რამე ახალი ისწავლე, რაც თუნდაც იმაში გამოგადგება, რომ თამაში გააუმჯობესო?
- იმას ვერ ვიტყვი, რომ აქ რამე ისეთი ვისწავლე, რაც საქართველოში არ ვიცით. აქ რაც თვალში მომხვდა არის ის, რომ თავგანწირვით იძრძვიან ბურთისთვის. ერთმანეთს არ ინდობენ, შეიძლება ფქები დაამტვრიონ ერთმანეთს თვით ვარჯიშებზეც კი. ჩვენ ვერიდებით ერთმანეთისთვის ტრამვის მიყენებას. გერმანელი მწროვნელები იშვიათად აჯარიმებენ ვარჯიშის დროს. აქაური ფქებურთული ბავშვები ფიზიკურად უფრო კარგად არიან მომზადებულები, ვიდრე ტექნიკურად. ესენი სწორი და სწრაფი პასის გაკეთებაზე და სისწრაფეზე არიან



ორიენტირებულები, ჩვენ უფრო ტექნიკაზე.

- რა აქვთ აქ ისეთი რასაც ისურვებდი, რომ შენს გუნდსაც ჰქონოდა საქართველოში?

პირველ რიგში ინფრასტრუქტურა. ბალაზი და მოწესრიგებული სტადიონი, რაც თბილისში და მთელ საქართველოში ჭირს. ასევე მინდა რომ საქართველოში ბევრი და კარგად გამართული ბაზა გვქონდეს.

- გერმანიასთან შედარებით რამდენად დიდი ყურადღება ექცევა საქართველოში ბავშვთა ფქებურთს?

- მე როგორც ვნახე, აქ ბავშვების განვითარებას ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა. ამას ვერ ვიტყვი საქართველოში, რაზეც გული მწყდება. ეს გამოიხატება კიდეც ჩვენს თამაშში და გერმანელების თამაშში.

- შენს სამომავლო გვემბეს რაც შექება, რის გაკეთებას აპირებ იმისთვის, რომ მანჩესტრში მოხვდე?

- ვაპირებ ვივარჯიშო ძალიან, ძალიან ბევრი, რომ მივაღწიო ჩემს საყვარელ გუნდამდე. ვეცდები ისე კარგად ვითამაშო, რომ საქართველოს გარეთ მოვწონო ვინმეს და საზღვარგარეთ წამოვიდე სათამაშოდ. მარტო საქართველოში თამაშით ვერ შევძლებ ჩემი მიზნის მიღწევას.

- „ივერიელის“ ამ პროექტზე რას იტყოდი, თვლი რომ კარგია და უნდა გააგრძელოს არსებობა?

- კი. ძალიან კარგი პროექტია და ამიტომ დიდი მადლობა მინდა მოვუხადო ამ პროექტის ორგანიზატორებს და მთლიანად ქომაგთა კლუბ „ივერიელს“. ვთვლი რომ ასეთი პროექტები მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ახალგაზრდა ფქებურთელებში მოტივაცია გაიზარდოს და ნიჭიერ ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცეთ წამოვიდნენ საზღვარგარეთ გამოცდილების მისაღებად. ასევე მინდა რომ ჩემს მწროვნელებს გუბაზ დოლიის ხელმძღვანელობით დიდი მადლობა მოვუხადო. ასევე ფიფას აგენტ რევაზ კუხალეიშვილს და საერთოდ ყველა იმ ადამიანს, რომელიც დამჭმარა მიუწენდი წამოსვლაში და აქ ყოფნის დროს. ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო და სასიამოვნო მოგზაურობა იყო, შევიძინე უდიდესი გამოცდილება და მივიღე უდიდესი მოტივაცია, რომ უფრო მონდომებით ვფარჯიშო და ვითამაშო.

ესაუბრა  
თინათინ ჩითინაშვილი



## შეკვეთის რეაგი

რეაგი

ისტორიასთან.

1898 წლის ონისში, როგორც ცნობილია, ვანო უგზო-უკვლოდ გაქრა. მისი გაუჩინარების მიზეზი დღემდე ბურუსითა მოსილი. მაშინ საზოგადოებაში უამრავი ვერსია ტრიალებდა. მრავალთაგან ერთ-ერთი მათგანი, თითქოს, აკაკის და ვანოს მეუღლის - ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლის სიყვარული იყო. ბედის ირონიით ჭორს საფუძველს უმაგრებდა ის ფაქტი, რომ იმ საბედისწერო დამეს აკაკი მაჩაბლებთან სტუმრობდა... ამ ამბავმა პოეტს მოული ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია...

რა იყო და შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?

დავიწყოთ ცოტა უფრო შორიდან.  
\* \* \*

„ჩემი პირადი სიამოუნება, გინდ მცირე იყოს, არა სწერია ბედის ვარსკვლავზე!...! - სწერს აკაკი წერეთელი იაკობ გოგებაშვილს: „არც ახლა გვერა, რომ დაწყევლილი ვარ?!” - აგონებს უკვე ერთხელ ნათქვამ სიტყვებს ლიზა თარხნიშვილს: „მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვა და ვაება იყო, არც ერთი დღე არ შემხვედრია მისთანა, რომ თავი ბედნიერად მეგრძნოს...” „რომ იტყვიან: გარეთ მტერს სჭრის თვალებს და შიგნით მოყვარუსო”, სწორედ ჩემზეა გამოჭრილი. გარეგანად გადაჭარბებულს შინაგანად ტანჯვა-ვაების მეტი არა განმიცდია-რა...” და ა. შ. ამ სიტყვებს წერს კაცი, რომელიც ერის სათავეანებელი პიროვნება იყო, რომელსაც ხალხი ხელისგულზე ატარებდა, უყვარდა, აფასებდა, რომლის შესახებ იუბილეს დღებში უურნალი „შინაური საქმეებში წერდა: „მეტი პატივი, მეტი აზვითება, მეტი სიყვარულ-ბედნიერება იმაზე, რაც ამ დღეს საქართველომ მიუძღვნა თავის მგოსანს, აღარ შეიძლება! საუკეთესო მამამთავარნი პოეზიისა: შილერი, შექსპირი, გოეთე, მიცკვიჩი, პუშკინი, ბაირონი და სხვა ამისთანანი სიამაყით დადგებოდნენ ჩვენი მხოვანი აკაკის ადგილზე ამ დღეს!!!?” მაგრამ ამ გარეგანითვალის მომჭრული ბრწყინვალების მიღმა იმალებოდა უკიდეგანო სევდა და ტკიფილი. აკაკი ტრაგიკული პიროვნება იყო. პოეტის შინაგანი ტრაგიზმი გადაჯაჭვულია ცნობილი ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის ვანო მაჩაბლის ოჯახის

აკაკის ტრაგიკული სულიერი მდგომარეობისათვის უამრავი მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი ეროვნული უბედურება იყო. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ პოეტი კარგად ხედავდა საქართველოს სულიერ გადაგვარებას, გრძნობდა რუსეთის შეფარვით-დიდმპყრობელურ პოლიტიკასაც. „მოხიბლულა, შემცდარია, ის არის! ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“ - ამიტომ წერდა იგი.

აკაკი, როგორც პოეტი, ტკბილ ხმათათვის გაჩენილი ბულბული იყო, მაგრამ მისი ლექსის მსუბუქი და ალერსიანი ინტონაცია ზშირად იცვლებოდა ბასრი და დაუნდობელი სარკაზმის ნოტებით, რაც საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებით იყო გამოწეული.

ერთხელ ბესარიონ დოლობერიძეს პოეტზე უთქვაშს: კი ვეფუდი და ვიღრინებოდი, მაგრამ გერავინ იტყვის, რომ საპირადოს გამოო... ამ ფრაზას აკაკიმ შემდეგ უფრო სევდიანი სიტყვები მოაყოლა: გაძლლებულო დროვ, შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, წინააღმდეგ ჩემი ბუნებისა მაყეფებ და მაყეფებო... მეორე, აკაკის ახრჩობდა მარწუხები: „ჩემს

სიცოცხლეში ცხადად ოუ სიზმრად ერთი რამ მაფრთხობდა ყველაზე მეტად და საფლავშიაც ქარცეცხლად მიმყენა. მე კამბობ ცენზურაზე. ვინც მომსწრე არ არის და არ გამოუცდია, იმას მარტო გაგონებით წარმოდგენა არ შეუძლია მისი, ოუ რა იყო წინეთ ის საოცარი ცენზურა.“ არადა, აკაკი - ეს ენა მწარე სატირიკოსი - მუდმივ შეხლა-შემოხლაში იყო როგორც ცენზურასთან, ისე საზოგადოების გაზულუქებულ წევრებთან. იგი ბევრჯერ გადაურჩა სიკვდილს... მაგრამ მესამე და მთავარი მიზნები მისი ტრაგიზმისა იყო პოეტის პირადი ცხოვრება.

\* \* \*

1864 წელს აკაკიმ ცოლად შეიირთო ნატალია ბაზილევსკაია. თვით პოეტი წერს: „ნურავინ ნუ დაიჩემებს, მომავალში ამას ვიზამ, ოუ იმასო. მე გადაწყვეტილი მქონდა გუნებაში, რომ ცოლი არ შემერთო და მერე ისიც უცხოელი, მაგრამ შემთხვევას ყოველიფერი შესძლებია“.

და სწორედ ცოლის შერთვით დაიწყო აკაკის პიროვნული ტრაგედია. პოეტს ეს ქალი არასოდეს ჰყაურებია, მაგრამ თავისდამოულოდნელად გადაწყვიტა მისი შერთვა. აკაკი ამას ნატალიას შეცოდებით ხსნის... ტრაგედია შვილის შეძენით გაღრმავდა. ცოლქმარი უფრო დასცილდა ერთმანეთს. შვილმა უარყო საქართველო, ქართული ენა. დედაც მას მიუღა და მთელი ცხოვრება შვილს დასდევდა, რომელიც საოპერო დასს დაატარებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. აღლექსიმ ცოლი არ შეიირთო და ამიტომ აკაკი შვილიშვილსაც ვერ ედირსა. ფაქტობრივად პოეტს ოჯახი არ ჰქონია, ცოლ-შვილი მუდმივად საზღვარგარეთ ან რუსეთში ცხოვრობდა. მას კი ოჯახური ითბო ენატრებოდა, მაგრამ ცოლ-შვილთან ყოფნა მაინც არ უნდოდა. ცნობილია, რომ ნატალია ჩამოვიდოდა ოუ არა საქართველოში, აკაკი თავს ცუდად გრძნობდა, ცოლთან მუდმივად ჩხუბობდა. სერგეი მესხი ერთ-ერთ წერილში თავის საცოლეს - კეკე მელიქიშვილს წერდა, აკაკი ფულს დაეძებს, რომ ცოლი რუსეთში გაუშვას და მოიშოროს. აი, მერე გათავისუფლება და წერასაც დაიწყებსო.

აკაკის და მის მეუღლეს ერთმანეთის არ ესმოდათ, ისინი ბოლომდე განუდგნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით ცხოვრების ბოლო პერიოდში, როცა აკაკი უკეკე სხვა ქალზე იყო შეყვარებული, მაგრამ გამხელის უფლება არ ჰქონდა. საერთოდ, პოეტი გულჩათხრობილი იყო, ყველაფერს გულში იტრიალებდა. ის არც ცოლ-შვილთან უსიამოვნებას უმხელდა ვინძეს. პიროვნულ ტრაგედიას ემატებოდა აკაკის უკიდურესი სიდებჭირე და უსახლკარობა, რაც ისევ და ისევ ცოლ-შვილის გაუცხოებასთან იყო დაკავშირებული. პარიზული წერილების ციკლის გამოქვეყნების შემდეგ, ნათელი გახდა მისი ასეთი გაჭირვებისმიზეზი. აკაკისდა ნატალიას მიმოწერიდან

ირკვევა, რომ ცოლ-შვილი უსასრულოდ მოითხოვდა მისგან ფულს. ნატალიას წერილები მიჯდაბნილია რუსულად აკაკის გაგზავნილ წერილებზე, რომელთა წაკითხვა და გამოქვეყნება არ მოხერხდა. ერთადერთი სიტყვა, რომელიც შეიძლება გაარჩიოს მკითხველმა, არის „დენეგი“. ამდენი ფული შვილის ვალებისთვის იყო საჭირო. აკაკი ერთი პერიოდი თავის მოკვლას აპირებდა, თვითმეტელობას კი გადაურჩა, მაგრამ ინსულტი პოეტს რამდენიმე წერილის ზედიზედ მიღების შემდეგ დაემართა. ისინი სასწრაფოდ ითხოვდნენ ფულით დახმარებას. აკაკიმ ვერც თბილისში და ვერც ქუთაისში ფული ვერ იშოვნა და დაიწყო პოემა „ომის“ წერა, რაც მისოვეის საბედისწერო გამოდგა. ამ საკითხის გარშემო უამრავი წერილობითი ფაქტი არსებობს, თუნდაც იუბილეს დღეებში, 1908 წელს, აკაკიმ სულ ცოტა ხანში რამდენი ფული გაუგზავნა მათ პარიზში...

„ძვირფასო ლიონიდა!

გუშინ საჩხერეში ამოვედი და დღეს მივიღე შენი წერილი. შენმა წერილმა ცოტა გამაკვირვა, - აქ, ახლა, ამ არეულობის დროს, ერთი მანეთის შოგნაც კი ძნელია, და ღმერთია მოწამე, ოუ რა შრომად მიღირს ერთი მანეთის მოპოვება. თვითონაც მიკვირს, როგორ ვშოულობ. თითქოს ჯანმრთელ კაცს წერდე და არა მე აგადმყოფ მოხუცეს...“

..... 20 ოქტომბერს კვლავ გამოგიგზავნით 200 მანეთს. და მერე ვეცდები კიდევ მოგწოლოთ ჩამოსვლამდე, ესე იგი იუბილემდე, ჩემი ანგარიშით თქვენ ჩემგან უკვე მიღებული გაქვთ 650 მანეთი. შევცდები კიდევ გამოგიგზავნით 350 მანეთი ორ ჯერზე, რაც შეადგენს 1000 მანეთს, ძალიან მცოდებით, მაგრამ მეც შემიცოდეთ”.  
\* \* \*

პოეტის არეულ ოჯახურ ცხოვრებას მისი უილბლო სიყვარული დაემატა. აკაკის შეუყვარდა ანასტასია ბაგრატიონი-მაჩაბელი, ვანო მაჩაბლის მეუღლე. პოეტი მთელი ოცი წელი მალევდა ამ მომაკვდინებელ სიყვარულს. წიგნს, რომელიც მან ტახო მაჩაბელს მიუძღვნა, ასეთი წარწერა აქვს: „მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვაა და გება, ამირანის ჯაჭვებით დაბმული უკვდავება“, „ბედმა დამწერა, დამდაგა გადამასხა მდუღარე“ და ა.შ. აკაკიმ ეს საიდუმლო ბოლომდე მაინც ვერ შეინახა, რაღაც ოცი წლის განმავლობაში სიყვარულის მალვასაც და შემდეგ მის გამხელასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. პოეტს ნამდვილი მეგობრობა აკაგშირებდა ვნო მაჩაბელთან. აკაკი საზოგადოებრივ საქმეებში ყოველთვის მას უჭერდა მხარე. ბანკის საკითხებზე შეხლა-შემოხლის დროს აკაკი ვანოს დაუდგა გვერდით და არა ილიას. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ. მაჩაბელების სახლში აკაკის საკუთარი ოთახიც კი ჰქონია. ამიტომ, ცხადია, პოეტს ერცხვინებოდა

ვანოსი, ერიდებოდა თავისი გრძნობისა და გულში ახშობდა მას.

გარდა ამისა, აკაკი ტასოს მეგობარიც იყო. იგი კველანაირად ქმარებოდა პოეტს. ნატალია აკაკის მაჩაბლების ბინის მისამათზე უგზავნიდა წერილებს... აკაკი თაყვანს სცემდა ტასოს, აღმერთებდა, - ეს კველაფერი თანდათან გადაისარდა სიყვარულში...

\* \* \*

აკაკი მაჩაბლებთან სტუმრად იმყოფებოდა იმ ღამეს, როცა ვანო გაუჩინარდა. ამ ორ მოვლენას შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. იმ დროს აკაკი ნაავადმყოფარი იყო. ის აპრილში გულის შეტევით გახდა ავადდა რამდენიმეთვის განმავლობაში ექიმი სამსონ თოფურია მკურნალობდა. საჩხერიდან თბილისში დაბრუნებული პოეტი სტუმრად მიდის მაჩაბლებთან. ამ სტუმრობის შესახებ აკაკი იგონებს: უკანასკნელად, ხუთშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 5-6 საათზე ძალიან კარგ გუნებაზე დამიხვდა (ვანო), მთხოვა ნარდის თამაში. რადგანაც სუსტად ვარ, ხუთი ხელის მეტი არ გვითამაშია. შევსწყვიტეთ თამაში და დავიწყეთ ჩვეულებრივი ლაპარაკი... ჯერ კიდევ ათი საათი არ იყო, შინ წასვლა დავაპირე, მაგრამ შემეხვეწა, დარჩიო. მე წაგედი სასტუმრო თახეში დასაძინებლად... 11 საათზე ისიც დაწოლილიყო... კნეინა ხელსაქმეს შეჰყოლოდა, ორ საათზე დაეხედა ქმრისთვის და გულის ძილში ენახა.

ოთხი საათი იყო სწორედ, რომ ძილში რაღაც ხმაურობამ და ცუდმა სიზმრებმა გამომაღვიდა. რომ წამოვდექი, გულის ძერა მქონდა ავარდნილი. ჯერ დავაპირე მაჩაბლებთან შესვლა, მაგრამ რადგანაც მალე გადამიარა, დავრჩი ჩემს თახეშვე და ექვსის ნახევრამდე აღარ დამძინებია. ამ ხნის გაბამავლობაში რომ ხმაურობა ყოფილიყო, ან ფეხის ხმა, ან ლაპარაკი, არ გამომეპარებოდა. რვა საათზე რომ გამომეღვიდა... შევედი ზალაში, სადაც მაჩაბლი იწვა. ის აღარსად იყო, მაგრამ ქვეშაგები კი მინგრულ-მონგრული იყო, ვიფიქრე, აღბათ, პირის დასაბანად გავიდათქო... (კნეინამ) დახედა ქვეშაგებს და კიდევ უფრო შეშფოთდა: იმას ჩვეულებად ჰქონდა, ადგებოდა თუ არა, ქვეშაგებს თვითონ გაასწორებდა და ქხლა კი ასე მინგრულ-მონგრულიაო... იმან გული მაინც ვერ დაიშვიდა. დაიწყო ძებნა და სტოლზე დატოვებული რომ ნახა საათი, ძეწკვი და პერანგის ოქროს ღილები, მაშინ თითქმის შეიცხადა..."

ამ ამბავმა ქალაქში ჭორების კორიანტელი დააყენა. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „ეს მეხუთე დღეა, რაც თავ. ივ. მაჩაბლი ვერ უპოვნიათ, თუმცა ყოველივე ორნისძიებას ხმარობენ, პოლიცია და უანდარმერია დაეძებს თვითონ ქალაქში, მიწერ-მოწერა აქვთ სხვა ქალაქებშიც, ამათ ქმარება ნაოსაობა და მეობრები დაკარგულისა. მენავები და ცხენოსანი კაცები მტკვარში და მტკვრის პირზე

დაეძებენ".

იგივე გაზეთი წერდა, რომ ღამის ოთხი საათიდან ნაშუადღევის ორ საათმდევანომაჩაბელი რამოდენიმე კაცმა ხახა. თითქოს მოწმებიც გამოჩნდნენ, რომ ის მტკვარს მიჰქონდა დიღლს 5 საათზე, მაგრამ დღის 11 საათზე და 2 საათზე ის ნახეს ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და პუშკინის ბაღთან, ერვნის მოედანზე... ამის შემდეგ კვალი იკარგება.

\* \* \*

ამ საიდუმლო ბურუსით მოცულმა ამბავმა აკაკის ტრაგიკულ სიყვარულს მეორე ტრაგედიაც დაამატა ზედ. საზოგადოებაში უამრავი ვერსია გაჩნდა. ვანო მაჩაბლის გაუჩინარებას ბევრი აკაკის აბრალებდა, ნაწილი - ვანოს არეულ საზოგადოებრივ საქმიანობას, ნაწილი კი — მის ავადმყოფობას. აკაკი იგონებს: “იმერეთიდან რომ ჩამოვედი და ვნახე მაჩაბლი, ის კარგ გუნებაზე დამიხვდა და მომახარა: ახლა კი იმედია, რომ სრულიად გამოვმრთელდეს”. ეს სიტყვები ადასტურებს, რომ ვანო მძიმე ავადმყოფი იყო. მან იმ ხანებში ოპერაცია გაიკეთა. ოპერაციის დროს ამოღებული ძვლები და სხვა ნაწილები ბოლო დრომდე შენახული ჰქონდა მის ქალიშვილს. ასეთი ფიზიკურ-სულიერი მდგომარეობა შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი მისი ცხოვრებიდან განრიცებისა.

ვანოს გაუჩინარება შეიძლებოდა გამოწვევია საზოგადოებრივ საქმიანობის პრობლემებსაც. ამბობენ, მას იმ პერიოდში კველაფერი დალაგებული ჰქონდა. მთლად ასე არაა საქმე. „ბანკობიადის“ ანუ სათავადაზნურო ბანკის გარშემო არსებული კამათისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ ვანოს ძალიან ავიწროებდნენ.

იყო ასეთი ვერსიაც, რომ ვანოს ურთიერთობა ჰქონდა „დუხაბორებთან“ და მათ გაჰყვა. იყენებით თითქოს თვითმხილველებიც.

არსებობდა აზრიც, რომ ის ნახეს პეტროზაოდსკმი „დუხაბორებთან“ ერთად. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ფაქტის გადამოწმება შეუძლებელი გახდა, რადგან მოის დროს ქალაქი გადამწვარა და კველანაირი საბუთი განადგურებულა...

